სეზონის უკანასკნელი მატჩი
`სპარტაკი” (მოსკოვი) _ `დინამო” (თბილისი)

1955 წლის საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში არსებითად კარგა ხანი დამთავრდა. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მატჩი მოსკოვის `სპარტაკსა” და თბილისის `დინამოს” შორის.

ამ შეხვედრას მოსკოველთათვის რეალური მნიშვნელობა არა ჰქონდა _ მათ საკმაოდ მტკიცედ ეპყრათ მეორე ადგილი, მაგრამ თბილისელებს 2 ქულა მეტად სჭირდებოდათ. მოგების შემთხვევაში ისინი მეცხრე ადგილიდან გადადიოდნენ მეშვიდეზე.

სტუმრები მინდორზე გამოვიდნენ ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით. გუნდა აკლდა მთავარი `დისპეტჩერი” ი. ნეტო, რომლის ფუნქციების შესასრულებლად თავდასხმიდან ნახევარდაცვაში გადმოყვანილ იქნა სალნიკოვი. გუნდი ასე გამოიყურებოდა: ტუჩკუსი, სოკოლოვი, მასლიონკინი, სედოვი, პარამონოვი, სალნიკოვი, ტატუშინი, ისაევი, სიმონიანი, კეგიანი, ილინი.

გადახალისება მოხდა მასპინძელთა რიგებშიც _ მარცხენა ფრთა მიანდეს ახალგაზრდა მესხს, ხოლო ხასაია თამაშობდა მარჯვენა ფრთაზე (პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, დავარაშვილი, ვარდიმიადი, ხასაია, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი).

დაიწყო თამაში. “სპარტაკის” ცენტრალურმა სამეულმა კარგად გაითამაშა ბურთი ცენტრში, მაგრამ მას დაეუფლა ღოღობერიძე და ხასაიას გადასცა მარჯვნივ, თბილისელთა მარჯვენა ფრთამ წამით შეიცვალა ადგილები და ხასაიასაგან მიღებული ბურთით გაგნიძე სწრაფად გაიჭრა წინ, სადაც მცველებთან ბრძოლაში დაკარგა ბურთი. ცოტა ხანში მესხმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში, მაგრამ ააცილა მას.

გავიდა პირველი, “სადებიუტო” 10 წუთი. “სპარტაკმა” თანდათან ხელთ იგდო ინიციატივა და შეტევაზე გადავიდა. მოსკოველები შესანიშნავად არიან დაუფლებული ტექნიკას. როგორც მოძრაობაში, ისე ადგილზე ისინი სუფთად და ზუსტად ასრულებენ რთულ ელემენტებს. ფეხი, ტანით, თავით აჩერებენ ბურთს. საჭიროების მიხედვით ამუშავებენ მას და თითქმის უშეცდომოდ აწვდიან ერთმანეთს, გუნდი მთელი შემადგენლობით, მჭიდროდ მოძრაობს მოედანზე, მაგრამ არასოდეს ორი თავდამსხმელი ერთად არ გავა გადაცემის მისაღებად და არც ორი მცველი ერთდროულად არ დაესხმის მოწინააღმდეგეს. გუნდში ყველაფერი დაგეგმილი, გამოზომილი და აწონ-დაწონილია. თბილისელები ზოგჯერ იძულებული იყვნენ ყრუ დაცვაში გადასულიყვნენ, მაგრამ სპარტაკელებს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდათ _ ისინი თითქმის სრულებით არ ურტყამდნენ კარში.

დინამოელებმა დააღწიეს თავი მოწინააღმდეგის შტურმს და მალე კონტრიერიშზეც გადავიდნენ. კვლავ გარღვევაზე გავიდა გაგნიძე, რომელსაც ძლივს მიასწრო მასლიონკინმა, შემდეგ მესხმა კარგად ჩააწოდა კალოევს, რომლის დარტყმა არაზუსტი გამოდგა. თბილისელთა იერიში ხანგრძლივი იყო, მაგრამ ყოველ მოსახერხებელ მომენტში სპარტაკელები მოულოდნელად და მწვავედ უტევდნენ “დინამოს” კარს. რამდენიმეჯერ სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე ტატუშინი.

ორივე გუნდში გამოირჩეოდნენ კაპიტნები _ სალნიკოვი და ღოღობერიძე. მოსკოველი თავისუფლად, დიდი ოსტატობით ხელმძღვანელობდა გუნდს, ხშირად მონაწილეობდა თავდამსხმელთა კომბინაციებში, კარგად ირჩევდა ადგილს. თბილისელს ფეხდაფეხ დასდევდა თავისი დარაჯი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის

წევრი პარამონოვი, მაგრამ ღოღობერიძე ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული მასთან ბრძოლაში და აქტიურად თამაშობდა დიდ ტერიტორიაზე.

მაყურებელთა საერთო ინტერესს იწვევდა სიმონიანისა და ძიაპშპას ორთაბრძოლა, რომლებიც დიდი ხანია არ შეხვედრიან ერთმანეთს მწვანე მინდორზე. უნდა ითქვას, რომ ძიაპშპამ ამ დღეს კარგად ჩაატარა მთელი თამაში და გარდა იმისა, რომ მოახერხა სიამონიანის ნეიტრალიზება, ეფექტურად ეხმარებოდა თავის პარტნიორებსაც.

30-ე წუთამდე გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლა არა თუ გოლის, არამედ კარში დარტყმის გარეშე. ამ ხნისათვის დაზარალდნენ მხოლოდ თბილისელები, რომელთა მარცხენა გარემარბმა მესხმა მეკარესთან შეჯახებისას მიიღო ფეხის ტრავმა და ტაიმის დასასრულამდე გამოეთიშა თამაშს. 30-ე წუთზე "დინამოს" საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მოწოდებულ იქნა ბურთი, თბილისელებმა სულ უმნიშვნელო დროით დააგვიანეს, არც საკმარისი აღმოჩნდა ილინისათვის მკვეთრად დაერტყა კარში, ანგარიში გაიხსნა _ 1:0.

მაგრამ არ გასულა ხუთი წუთი და თამაში ცენტრიდან დაიწყეს მოსკოველებმა. კალოევი კარგად გავიდა გაგნიძის მიერ ჩაწოდებულ ბურთზე და დაარტყა კარში. ტუჩკუსმა ვერ შეძლო ბურთის შეჩერება _ 1:1. დარჩენილი დროის მანძილზე სტუმრების კარი აშკარად გადარჩა 2-3 მეტად სახიფათო მომენტს.

მეორე ტაიმი თბილისელებმა სწრაფი შეტევებით დაიწყეს. თავდამსხმელებმა მოძებნეს "გასაღები" მოწინააღმდეგის კარისაკენ, ისინი კარგად გადიოდნენ თავისუფალ ადგილზე, სწრაფად მოძრაობდნენ, მაგრამ ვერ იყენებდნენ ხელსაყრელ მდგომარეობას კარში დარტყმისათვის. ყოველმა მათგანმა დაკარგა სულ ცოტა თითო კარგი მომენტი. "სპარტაკი" მეორე ტაიმში ვეღარ თამაშობდა უწინდებური სიზუსტით და სიმშვიდით, მცველები აირივნენ...

მაგრამ, როგორც ეს ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ხშირად მომხდარა, დინამოელები უტევდნენ, გოლი კი მათს კარში გავიდა. მე-20 წუთზე ტატუშინი სწრაფად გაიჭრა წინ, მიაწოდა ცენტრში და კეგიანმა გაიტანა მეორე ბურთი.

თბილისელებს ამის შემდეგაც ხელთ ჰქონდათ ინიციატივა, თამაშში კვლავ ჩაება მესხი, შეტევა შეტევას მოსდევდა, მაგრამ საპასუხო გოლი არ ჩანდა. ბოლო 7-5 წუთის მანძილზე სპარტაკელებმა საგრძნობლად დაუკლეს წინააღმდეგობას, მაგრამ ანგარიში 2:1 მათს სასარგებლოდ აღარ შეცვლილა. თბილისის "დინამომ" წააგო სეზონის უკანასკნელი, რიგით მე-12 მატჩი.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა არ შედგა, ვინაიდან მოსკოველები არ ჩამოვიდნენ თამაშზე. გამარჯვება მიეკუთვნათ თბილისელებს.

ამრიგად, რვათვიანი დაძაბული ბრძოლა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში დამთავრდა. საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აინტერესებს თავისი გუნდის შედეგები განვლილ ჩემპიონატში.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ისე ცუდად როგორც წელს, დინამოელებს არასოდეს არ უთამაშიათ. თუ მათ გასულ წელს კარგად დაამთავრეს პირველი წრე და მხოლოდ შემდეგ გაიფუჭეს სატურნირო მდგომარეობა, წელს პირველი ტურიდანვე არასახარბიელო მდგომარეობა იყო და საქმე იქამდეც მივიდა, რომ თბილისის "დინამო", ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი, მოსკოვის გუნდების ძირითადი და ერთადერთი მეტოქე, ჩემპიონობისა და თასის უცვლელი პრეტენდენტი, `ბ" კლასში გადასვლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

დინამოელებმა შეძლეს მეცხრე ადგილის დაკავება და მხოლოდ ბურთების შეფარდებით გაუსწრეს ლენინგრადის “შრომით რეზერვებს”.

ჩავარდნები ბევრ გუნდს ჰქონია და ბევრსაც დაუღწევია მისგან თავი. ასეთი ისტორია მოუვიდა თავის დროზე მოსკოვის “დინამოს”, ცდსა-ს, “სპარტაკს”, “ტორპედოს”, კიევის “დინამოს”, მაგრამ იქ მდგომარეობის გამოსწორებისათვის თავის დროზე იზრუნეს და გამოასწორეს კიდეც, როგორც წესი, ამას ისინი აღწევდნენ გუნდების შემადგენლობის გადახალისებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მწვრთნელებმა ვერ დააკომპლექტეს გუნდის ძირითადი შემადგენლობა, თითქმის ყოველ მატჩში მინდორზე გამოდიოდნენ ახალი მოთამაშეები, ექსპერიმენტებს ბოლო არ უჩანდა. ქულები კი იკარგებოდა.

გუნდს ჰყავს მეტად კარგი, ნიჭიერი, ახალგაზრდა დუბლშემადგენლობა, რომელმაც გათამაშება დაამთავრა მეორე ადგილით. კურსი უნდა აღებულ იქნას სწორედ ამ ახალგაზრდობაზე, რომელსაც უდაოდ დიდი პერსპექტივები აქვს. თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა საჭიროა მტკიცედ შეიგნონ, რომ ისინი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავენ და მართებთ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა, მეტი ნებისყოფა და მოქალაქეობრივი გრძნობის გამოჩენა, ვიდრე მათ ეს წელს და შარშან ახასიათებდათ.

ბ. ქორქია

“ლელო”, 23.11.55